

**დაცულ ტერიტორიაში ინვესტირების თანხვადრა სტრატეგია და გეგმებთან**

დაცული ტერიტორიების მართვის მნიშვნელოვნად გაზრდილი დაფინანსების მყარ ეკონომიკურ დასაბუთებას მყარი პოლიტიკური დასაბუთება აძლიერებს. გაზრდილი დაფინანსება ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევას, განსაკუთრებით სოფლად და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკის წამყვანი დარგების, კერძოდ, წყალმომარაგების, ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებაში. ის ასევე ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და შერბილებას, აგრეთვე გაუდაბნობასთან ბრძოლისა და მიწის აღდგენის ამოცანების შესრულებას.



**საქართველოს დაცული ტერიტორიების გაზრდილი დაფინანსების ხარჯ-სარგებლიანობის (CBA) ანალიზი**

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური საჭიროებების დეტალურმა შეფასებამ აჩვენა, რომ დაცული ტერიტორიები არასაკმარისადაა დაფინანსებული და საჭიროა დამატებით **21 მილიონ ლარი** წელიწადში. მომდევნო 20 წელიწადში მოსალოდნელი ხარჯები და სარგებელი გაზრდილი დაფინანსების სცენარით და ჩვეული პრაქტიკის სცენარით შეფასდა და გამოვლინდა შემდეგი: დაფინანსების ჩვეული პრაქტიკის სცენარით, დაცული ტერიტორიების მიერ ამჟამად უზრუნველყოფილი ძირითადი ეკოსისტემური სერვისების ღირებულება, რომელიც მინიმუმ **374 მილიონ ლარს** შეადგენს, წელიწადში **240 მილიონ ლარამდე** შემცირდება. ხოლო, გაზრდილი დაფინანსების სცენარით, წელიწადში დაახლოებით **627 მილიონ ლარამდე** გაიზრდება. მთლიანობაში, სარგებელი გაწეულ ხარჯებს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს.

მოწოდებული მასალა ამოღებულია GEF/UNDP-ის პროექტის „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) დაკვეთით ჩატარებული კვლევიდან, რომელიც ფარგლებში განხორციელდა საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური სერვისების შეფასება და დაცულ ტერიტორიებში ინვესტირების ხარჯსარგებლიანობის ანალიზი.




**საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური სერვისების ღირებულება და საქართველოს დაცულ ტერიტორიაში ინვესტირების ხარჯსარგებლიანობის ანალიზი**





### ეკოსისტემური სერვისები

ეკოსისტემური სერვისები არის ის სარგებელი, რომელსაც ადამიანები იღებენ ბუნებიდან. და მოიცავს: უზრუნველყოფის, რეგულირების, კულტურული და დამხმარე სერვისებს. ადამიანის კეთილდღეობა არსებითად დამოკიდებულია სწორედ ამ ეკოსისტემურ სერვისებზე.




კავშირი ეკოსისტემურ სერვისებსა და ადამიანის კეთილდღეობას შორის. წყარო: Millennium Ecosystem Assessment.

დღეისათვის საქართველოში 100 დაცული ტერიტორიაა, რომელთაც ქვეყნის ტერიტორიის 13.1% უკავია. დაცულ ტერიტორიებს, მათ მიერ უზრუნველყოფილი ეკოსისტემური სერვისების მეშვეობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მაგალითად:



### საქართველოს დაცული ტერიტორიები და ეკოსისტემური სერვისები




კავშირი ეკოსისტემურ სერვისებსა და ადამიანის კეთილდღეობას შორის. (ადაპტირებულია ათასწლეულის ეკოსისტემის შეფასებიდან).

- ქალაქი ბათუმი წყალს მდინარე ჩაქვისთავიდან და მდინარე ყოროლისწყლიდან იღებს, რომლის სათავე მტირალას ეროვნულ პარკშია.
- კახეთის რეგიონის ექვსი მთავარი სარწყავი რეგიონი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მდინარე ალაზანზე, რომელიც თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე იღებს სათავეს.
- დაცული ტერიტორიები ბუნებრივი კატარსტროფებით (ზვავები, მეწყრები, ნიადაგის ეროზია, წყალდიდობა, სხვა) გამოწვეული საფრთხეების შერბილებას უზრუნველყოფს. მაგ. თუშეთის დაცული ტერიტორიების შექმნის ერთ-ერთ მიზანი ეროზიისა და ზვავების პრევენციაა.
- დაცული ტერიტორიები ამსუბუქების კლიმატის ცვლილებას, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ნახშირბადის მარაგების ჯამური რაოდენობა დაახლოებით **23 მილიონ ტონა** ნახშირბადს (tC) შეადგენს.
- ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს დაცულ ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების ზონაში არსებული ბუნებრივი პროდუქტებით (ბალახი, კენკრა, ხილი, თხილი, თევზი, სხვა).
- დაცული ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 2014–დან 2019 წლამდე თითქმის გასამმაგდა და **1.2 მილიონს** მიაღწია. მათში, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი ორჯერ აღემატებოდა საქართველოში ყველა საერთაშორისო ვიზიტორის რაოდენობის ზრდის მაჩვენებელს, რაც დაცული ტერიტორიების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. კოვიდ-19-ის პანდემიის შემდეგაც დაცული ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა საქართველოში ვიზიტორების საერთო რაოდენობის ზრდაზე მაღალი იყო.


### საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ეკოსისტემური სერვისების ამახინდალი ღირებულება

საქართველოს დაცული ტერიტორიების მიერ ამჟამად უზრუნველყოფილი ძირითადი ეკოსისტემური სერვისების ღირებულება წელიწადში მინიმუმ **374 მილიონი ლარია**. ყველაზე გამორჩეული წვლილი მათ ტურიზმსა და რეკრეაციასში, წყლით უზრუნველყოფასა და წყლის რეგულირებაში და ნახშირბადის შეთანთქმებაში შეაქვთ.

საქართველოს დაცული ტერიტორიების მიერ უზრუნველყოფილი ეკოსისტემური სერვისების მიმდინარე წლიური ღირებულება = 374 მილიონი ლარი



საქართველოს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ეკოსისტემური სერვისების მინიმალური წლიური ღირებულება და მათი პროცენტული წილი (2022)



საქართველოს დაცული ტერიტორიების. წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2023